ტერმინების განმარტება

● **<u>ეროვნული ინტერესები</u>** [<u>N1</u>]- ერის გათავისებული მოთხოვნილებები, რომლებიც განაპირობებენ სახელმწიფოს ჩართულობას საერთაშორისო გარემოცვაში, მსოფლიო პროცესებში, განსაზღვრავენ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიას და პოლიტიკას. მათი დაკმაყოფილება უზრუნველყოფს ერის არსებობისა და განვითარების შესაძლებლობას. (ჩამოთვლილია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში)

● **<u>მდგრადი განვითარების მიზნები:[მგმN1- ...მგმ N17]</u>** *<u>(შენიშვნა: მდგრადი განვითარების 17 მიზანი)</u>*

<u>-ეროვნული უსაფრთხოების საფრთხე</u> - ეროვნული ინტერესების რეალი ზაციის დამაბრკოლებელი გარემოებები(ქმედებები, მოვლენები და პროცესები ან მათი ერთობლიობა). (ჩამოთვლილია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში).

● **<u>ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია N[2.1.]</u>** პასუხობს კითხვაზე - როგორ უნდა უზრუნველვყოთ ეროვნული უსაფრთხოება? ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია განსაზღვრავს

-თუ **<u>რა მიზნების</u>** მიღწევა სურს სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების სფეროში[,**N2.1.1.**];

<u>-რა გზებით</u> შეიძლება ამ მიზნების მიღწევა [**N2.1.2**];

<u>-რა საშუალებები</u> <u>(რესურსები)</u> იქნება საჭირო ამ მიზნების მისაღწევად[**N2.1.3**].

●**<u>ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა [N2.2]</u>** არის ეროვნული ინტერესების დასაცავად განხორციელებული საქმიანობა, რომელიც გულისხმობს:

ქვეყნის შიდა და გარე **საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებას**[**N2.2.1.**] ;

-გამოვლენას, შეფასებას [**N2.2.2.**];

- **თავიდან აცილებას** [**N2.2.3.**];

-და **აღკვეთას** [**N2.2.4.**];

●**<u>ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა</u>** [**N2.3.**] გაიგება, როგორც სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი გაერთიანებების (მათ შორის ცალკეული მოქალაქეების)საქმიანობა, რომელიც მიმართულია ეროვნული ინტერესების დასაცავად. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოიცავს:

- ეროვნული ინტერესების განსაზღვრას [N2.3.1.];
-საფრთხეების შემქმნელი ფაქტორებს[N2.3.2.] ;

-საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებას [N2.3.3] ;

- ნეგატიური ფაქტორების და წარმოქნილი საფრთხეების გაუვნებელყოფის სისტემის ფორმირებას[N2.3.4.].

●ეროვნული უსაფრთხოების ასპექტები [N2.4.];

-ეკონომიკური უსაფრთხოება;
-ეკოლოგიური უსაფრთხოება;
და ა.შ.

●ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა [N2.5.] არის სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული ეროვნული უსაფრთხოების სუბიექტთა ერთობლიობა, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით და ახორციელებენ ურთიერთშათანხმებულ საქმიანობას მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

1. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი ფუნქციები:
   - ✓ ეროვნული უსაფრთხოების მიმდინარე მდგომარეობის ანალიზი და შეფასება;
   - ✓ ეროვნული ინტერესების და მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრა;
   - ✓ არსებული საფრთხეების იდენტიფიცირება და შესაძლო საფრთხეების რისკებისა და გამოწვევების პროგნოზირება, გამოკვლევა და შეფასება;
   - ✓ ეროვნულიუსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო ძალებისა და საშუალებების ჩამოყალიბება;
   - ✓ ეროვნული უსაფრთხოების სისტემის საქმიანობის მართვა;
   - ✓ მონაწილეობაუსაფრთხოების საერთაშორისო სისტემებში;
   - ✓ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის მონაწილე სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის კონტროლი;
   - ✓ ქვეყნის მოქალაქეთადა საზოგადობის ინფორმირება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე.